

**თბილისის განო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორია**

bელჩაწერის უფლებით

ნინო ამირანის ასული კასრაძე

**პბერათჭარმოქმნის პროგლემა XX
საუკუნის საფორტეპიანო მუსიკაში
ოლივი მესიანის შემოქმედების
მაბალითზე**

**სამუსიკო ხელოვნების დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის**

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი, 2011

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ლეილა მარუაშვილი,**
მუსიკოლოგიის დოქტორი,
ასოც. პროფესორი

ექსპერტი:
ნათელა თავხელიძე,
მუსიკოლოგიის დოქტორი,
ასოც. პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2011 წ. „1“ აპრილს,
14.00 სთ. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს
სხდომაზე № 5.
მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. №8-10, აუდიტორია
№ 421.

დისერტაციის და ავტორეფერატის გაცნობა შესაძლებელია
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და კონსერვატორიის
ვებ-გვერდზე: www.conservatoriire.edu.ge.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი

ეკატერინე ონიანი,
მუსიკოლოგიის დოქტორი
ასოც. პროფესორი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

კლავიშიან ინსტრუმენტებზე დაკვრის ხელოვნებაშ რთული ეპოლუციური გზა განვლო და დღეს იგი ემყარება ხუთსაუკუნოვან ცოდნასა და გამოცდილებას. თანამედროვე მუსიკალური აზროვნება პიანისტურ-საშემსრულებლო გამომსახველობის ფორმებს თავისებური გარდასახვის პირობებში აყენებს და ბუნებრივია, ჩნდება კითხვები – რა მიმართულებით მიდის ეს პროცესი? როგორი ტენდენციები მედავნდება შემსრულებლობის დღევანდელ ფორმებში? როგორია შემსრულებლის წილობრივი ფუნქცია ნაწარმოების გაუდერებისას? რამდენადაა ნაწარმოების წარმატება დამოკიდებული საშემსრულებლო პროცესზე? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩვენ კიდევ ერთხელ დაგვიქრდით საფორტეპიანო შემსრულებლობაში გამოგლენილ თავისებურებებზე, რაც მუსიკალური აზროვნების განვითარების კვალდაკვალ ხორციელდებოდა.

ჩვენი ყურადღება ფოკუსირებულია საშემსრულებლო პროცესის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანების ფაქტორებზე. ქმნილების საშემსრულებლო ჩანაფიქრი საბოლოო ფორმას სცენაზე იდებს. ნაწარმოების საკონცერტო ესტრადაზე გაუდერებისას, შემსრულებლის მიერ დამუშავებული და მესეიერებაში შენახული მასალის კოპირება არ ხდება. მხატვრული ჩანაფიქრის მთავარი არსი განისაზღვრება ცოცხალი საშემსრულებლო პროცესით. როგორ აღმოცენდება ნაწარმოები სიჩუმეში, როგორ სივრცულ-დინამიკურ ფორმას მიიღებს იგი, ეს შესრულების პროცესში გაირკვევა. ვინაიდან ნაწარმოების გაუდერება ყოველწუთიერი ბგერათქმით ხორციელდება, ამიტომ ჩვენს მიერ დასახული პრობლემა – მუსიკალური მასალის ფორმირების პროცესში ბგერათწარმოქმნის მნიშვნელობის განსაზღვრა და მისი კვლევა – ყოველთვის აქტუალური იქნება.

ბგერათწარმოქმნის უშუალო პროცესის წინაპირობას შეგრძნებების საფუძველზე აღმოცენებული სმენითი წარმოდგენები ქმნიან და მათი როლი ამ პრობლემის გადაწყვეტისას უმნიშვნელოვანებია. უდერადობის თავისებური

რების თაობაზე სანოტო ტექსტში არსებული თითოეული მინიშნება ბგერის გამოცემის სხვადასხვა, მრავალფეროვან შესაძლებლობაზე გვაფიქრებინებს. მაგალითად, ისეთი აღნიშვნა, რომელიც მიგვანიშნებს ბგერის სიძლიერეზე, სასურველია დაუკავშიროთ მის მოცულობით შეგრძნებას, ბგერის ხარისხთან მიმართებაში თავისუფლად გამოვყენოთ მხედველობითი შეგრძნებები. ბგერის ხარისხს ვანსხვავებთ შეხებითი შეგრძნებების (ბლაგვი, მახვილი, გამჭოლი, მჭრელი, ხავერდოვანი და ა.შ.), სიმძიმის, მასის, მხედველობითი ასოციაციების საფუძველზე (ნაოელი, დაბინდული, გამჭვირვალე, ბრჭყვიალა და ა.შ.), ასევე სიკრცული წარმოდგენებით (მასიური, წვრილი და ა.შ.). აღნიშნული პარამეტრები შემსრულებელს კომპოზიტორის მხატვრული ჩანაფიქრის შესატყვისი საშემსრულებლო ხერხების მიგნებასა და გამოყენებაში დაეხმარება.

ნაშრომში განხილულია ფორტეპიანოს ბგერის აკუსტიკური თავისებურებები, შემოქმედებით-საშემსრულებლო პროცესში ინსტრუმენტის ბგერითი შესაძლებლობების გათავისებისა და მათი ადეკვატური გამოყენების მნიშვნელობა.

ბგერის, როგორც მუსიკალური მატერიის ფლობა შემსრულებლისთვის უსაზღვროდ აქტუალურია და მუდმივ სრულყოფას მოითხოვს. მხატვრული ტექნიკა სწორედ მუსიკალური ბგერის ფლობასა და მისი გამოყენების მრავალფეროვან ხერხებში ვლინდება. XX საუკუნის საფორტეპიანო მუსიკის ზოგიერთი სტილური თავისებურების გამოვლენა კ. დებიუსის, ბ. ბარტოკის და სხვა ნოვატორი კომპოზიტორების სახელებს უკავშირდება. ახალი საშემსრულებლო პრინციპების გაანალიზება უფრო მკაფიოს ხდის ჩვენი კვლევის ძირითადი ობიექტის – ო. მესიანის საფორტეპიანო შემოქმედების მნიშვნელობას. მუსიკალურ-საკომპოზიტორო აზროვნების განვითარებაშ საფორტეპიანო ხელოვნებას ახალი ამოცანები დაუსახა. ამ ამოცანათა გადასაჭრელად მიმართული კვლევა XX საუკუნის ნოვატორი მოაზროვნე კომპოზიტორის – ო. მესიანის შემოქმედების მაგალითზე, აქტუალურ თემად გვესახება.

კომპოზიტორის მსოფლალქმა მრავალ საწყისს ეფუძნება. ერთ-ერთი მთავარი – რელიგიური საწყისი – ო. მესიანის შემოქმედებაში ფუნქციური დატვირთვას ატარებდა (იგი მრავალი წლის მანძილზე წმინდა სამების ტაძრის მთავარი ორგანისტი იყო და მისი მუსიკის გარკვეული ნაწილი მესის დროს შესასრულებლადაა შექმნილი), ასევე მისი მუსიკის ესთეტიკაში გამოვლინდა. იმავდროულად, ო. მესიანის შემოქმედებითი სამყარო აღმოსავლური მუსიკის რიტმული წყობის თავისებურებას ითავსებს. ეს სრულიად კონტრასტული საწყისები საოცარ შემოქმედებით ნაზავს ქმნის. გარდა ამისა, მესიანის მხატვრული შემოქმედების კვლევას ფრანგული შემოქმედებითი ტრადიციის ფესვებთან მივყავართ. კომპოზიტორის პანთეისტური იდეები, რომელიც ფრინველთა იდეალიზებული სამყაროს მოდელირებაში აისახა, ახალი პლასტით დაგვირგვინდა მის შემოქმედებაში.

კვლევის მიზანი, ობიექტი და ამოცანები

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანს ფორტეპიანოს გამომსახველობითი საშუალებების გამოვლენას-თან დაკავშირებული პრინციპების ჩამოყალიბება და მათი სისტემური გააზრება წარმოადგენს. ნაშრომში ასახულია XX საუკუნის საფორტეპიანო ხელოვნების-თვის დამახასიათებელი ტენდენციები, განხილულია ამ პერიოდის საფორტეპიანო ქმნილებებში გამოვლენილი ზოგადი სტილური თავისებურებები. ვინაიდან საკვლევი პრობლემატიკა მკაფიოდ არის წარმოჩნილი ოლივიე მესიანის შემოქმედებაში, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტად სწორედ მესიანის საფორტეპიანო ნაწარმოებები შეირჩა. დისერტაციის ძირითადი ამოცანები დაკავშირებულია ბგერათწარმოქმნის ახალი ფორმების გამოვლენასთან და მათ მეთოდურ ანალიზთან ო. მესიანის საფორტეპიანო შემოქმედების მაგალითზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისერტაციის ძირითადი ნაწილი კომპოზიტორის საფორტეპიანო ნაწარმოებების მხატვრული შინაარსის

განსახიერებისათვის ადეკვატური საშემსრულებლო, ტექნოლოგიური ხერხების ანალიზს მიეძღვნა.

ნაშრომის სიახლე და მეთოდოლოგიური ბაზა

დისერტაციაში XX საუკუნის საფორტეპიანო მუსიკის თავისებურებები განხილულია ახალი რაკურსით. ბეჭრათწარმოქმნის ნოვატორული პრინციპების გამოვლენის მიზნით ო. მესიანის საფორტეპიანო შემოქმედება სპეციალური კვლევის საგანი ჯერ არ გამხდარა. სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია ბეჭრათწარმოქმნის ამოცანების თეორიული განზოგადება, რაც საბოლოო ჯამში პრაქტიკული რეკომენდაციების სახით ჩამოყალიბდა.

სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიას საფუძვლად დაქვდო საშემსრულებლო-მეთოდური, თეორიული და ისტორიული ლიტერატურა. გამოყენებულია ო. მესიანის ინტერვიუ პ. სამუელთან, პ. ჰილის და ნ. სიმეონეს მონოგრაფია „მესიანი”, ო. მესიანის თეორიული ნაშრომი „ჩემი მუსიკალური ენის ტექნიკა” და სხვ. მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზის დროს დისერტაციის ავტორი ეყრდნობოდა კვლევის თვით-დაკვირვების და კომპარატიულ მეთოდებს.

ნაშრომის პრაქტიკული დირებულება

დისერტაციაში წარმოდგენილი მეთოდური მიდგომები გასათვალისწინებელია როგორც პიანისტი-შემსრულებლისთვის, ასევე რეკომენდებულია პედაგოგიურ პრაქტიკაშიც. ნაშრომში მზარდი მუსიკოს-შემსრულებელი, პიანისტი-პედაგოგი საჭირო ინფორმაციას მოიძიებს, როგორც XX საუკუნის საფორტეპიანო მუსიკის ზოგიერთი ძირითადი ტენდენციების, ასევე ო. მესიანის საფორტეპიანო შემოქმედების ტრადიციული და ინოვაციური მასასიათებლების შესახებ. ო. მესიანის საფორტეპიანო შემოქმედებაში რიტმულ-ინტონაციური მოდელების, კილოს, ტემპერის ორიგინალური ინტერპრეტაცია შესაძლებელს ხდის კომპოზიტორის მხატვრულ-შინაარსობრივი ჩანაფიქრის სწორი გაგებას. შრომის პრაქტიკული დანიშულება სწორედ ამაში მდგომარეობს.

ნაშრომის პრობაცია

დისერტაცია პრობილებულ იქნა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სპეციალური ფორტეპიანოს მიმართულების სხდომაზე 2010 წლის 8 დეკემბერს და რეკომენდებული იყო დაცვისთვის.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნდებულია სამეცნიერო ნაშრომების სახით და წარმოდგენილია მაგისტრანტთა და დოქტორანტთა პირველ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე (თბილისი, 2010).

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

დისერტაცია მოიცავს 116 ნაბეჭდ გვერდს. იგი შედგება შესავლის, შვიდი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და დანართი (სანოტო მაგალითები).

ნაშრომის შინაარსი

დისერტაციის შესავალში – განსაზღვრულია საგვარეულო თემის აქტუალობა, მიმოხილულია საკითხის შესწავლის დონე. ასახულია კვლევის მიზნები, ამოცანები, ობიექტი. აღნიშნულია დისერტაციის სიახლე და პრაქტიკული დანიშნულება.

ნაშრომის პირველ თავი – „**საფორტეპიანო შემსრულებლობის საკითხები და ბერათწარმოქმნის პრობლემა**“. მუსიკის მხატვრული შინაარსის შესაბამისად ბერათწარმოქმნის პროცესის წარმართვა – საშემსრულებლო ოსტატობის წინაპირობაა. ბერის გამოსაცემად კლავიშთან შეხების ჩვევების გამომუშავება ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს. თუ როგორ უნდა მივაღწიოთ ფორტეპიანოს ბუნებრივ და ამავდროულად მაღალ ესთეტურ ქდერადობას, რა კაგშირშია ზემოთმოყვანილი საკითხები ბერის გამოცემის კულტურასთან – ჩვენი დაკვირვების საგანია.

„ცვალებადი ბგერა ან სხვადასხვანაირი ბგერების დაპირისპირება შეიძლება გახდეს სტრუქტურირების საფუძველი. ბგერათა გადაბმის (შეერთების) პოტენციური უნარი გააჩნია განსხვავებულობას, რომელიც წარმოიშვება რაიმე სახის ბგერითი ცვლილების შედეგად“¹.

ვინაიდან სტრუქტურირების საფუძვლად მიჩნეულია სხვადასხვანაირ ბგერათა დაპირისპირება ან ბგერის ცვალებადობა, მაშასადამე, შემსრულებლის უშუალო ინტერესის სფერო – ბგერათა განსხვავებულობის ჩვენება და მათ შორის ურთიერთკავშირის გამოვლენა. არანოვსების მოსაზრებაში ჩამოყალიბებულია ის მთავარი კანონზომიერება, რომელიც ფორტეპიანოზე ინტონირების პროცესს ედება საფუძვლად. შაზოგადოდ ცნობილია რომ ფორტეპიანოზე ამა თუ იმ რიტმულ-ინტონაციური სტრუქტურის გაჟღერება ინტონირების ამოცანებს უკავშირდება.

საკომპოზიტორო ტექნიკის განვითარებასთან ერთად ფორტეპიანოს გამომსახველი საშუალებები უსაზღვროდ გაფართოვდა. კ. დებიუსიმ, მ. რაველმა, ს. პროკოფიევმა, ბ. ბარტოკმა, ა. სკრიაბინმა, ი. სტრავინსკიმ, კ. პინდემიტმა, ა. შონბერგმა, ა. ვებერნმა, ო. მესიანმა, კ. შტოკპაუზენმა, კ. ბულენიმ, ჯ. კეიჯმა მნიშვნელოვანი რილი შეასრულეს ინსტრუმენტის შესაძლებლობების გადააზრების, მისი რესურსების განვითარების საქმეში.

ნაშრომის მეორე თავი – „**მეოცე საუკუნის საფორტეპიანო მუსიკის ზოგიერთი სტილისტური თავისებურება და ბგერათწარმოქმნის პრობლემა**“. ყურადღების ცენტრშია იმ კომპოზიტორთა შემოქმედება, რომელთაც ნოვატორული მნიშვნელობა შეიძინეს ფორტეპიანოს შესაძლებლობების გაფართოების თვალსაზრისით. საფორტეპიანო-საშემსრულებლო ხერხების არეალის გაფართოებამ თავისთავად დააყენა ფორტეპიანოზე ბგერათწარმოქმნის, მასზე ფიზიკური შეხების სრულიად ახალი პრობლემები.

XX საუკუნის საფორტეპიანო მუსიკაზე ყველაზე ღრმა ზეგავლენა იმპრესიონიზმის ესთეტიკამ მოახდინა. იმპრე-

¹ სტრუქტურული ბგერის შესახებ უკავშირდება შემოქმედების უშუალო ინტერესის სფერო – ბგერათა განსხვავებულობის ჩვენება და მათ შორის ურთიერთკავშირის გამოვლენა. არანოვსების მოსაზრებაში ჩამოყალიბებულია ის მთავარი კანონზომიერება, რომელიც ფორტეპიანოზე ინტონირების პროცესს ედება საფუძვლად. შაზოგადოდ ცნობილია რომ ფორტეპიანოზე ამა თუ იმ რიტმულ-ინტონაციური სტრუქტურის გაჟღერება ინტონირების ამოცანებს უკავშირდება.

სიონიზმი მუსიკაში ყველაზე ნათლად კლოდ დებიუსის შემოქმედებაში გამოვლინდა. კლოდ დებიუსის სახელს უკავშირდება XX საუკუნის ინსტრუმენტული აზროვნების თითქმის ყველა ახალი იდეა, რაც შემდგომი თაობის კო-მპოზიტორთა შემოქმედებაში კიდევ უფრო განვითარდა.

კ. დებიუსის შემოქმედებაში ახალი ტენდენციები მუსიკის გამომსახველობითი საშუალებების გადააზრების პროცესს უკავშირდება. განსაკუთრებულ დატვირთვას ტემბრისა და არტიკულაციის ასკექტი იძენს, რაც ჩვენს მიერ დასახულ პრობლემასთან უშუალოდაა გადაჯაჭვული.

ლოგიკურია ბ. ბარტოკის საფორტეპიანო ხელოვნებაზე დაკვირვებისა და გაანალიზების სურვილი მასში ნოვატორული იდეებისა და ახალი თავისებურებების გამოვლენის გამო. იყენებს რა ფორტეპიანოს, როგორც დასარტყამი ინსტრუმენტის იმიტაციის საშუალებას, ავტორი ბგერის წარმოქმნის ახალი საშუალებების ძიების აუცილებლობას აყენებს შემსრულებლის წინაშე.

ედერადობის ტრადიციულ ინტონაციურ საწყისს კომპოზიტორი ინსტრუმენტის კოლორისტულ და დასარტყამ ფუნქციებს უთანაბრებს. ხშირად „დარტყმა“ არტიკულაციური გამომსახველობის ფორმად გვხვდინება. საფორტეპიანო პიესაში „Allegro barbaro“ წმინდა ტექნოლოგიური თვალსაზრისით ხისტი, საკმაოდ მჭახე ბგერით შესრულებული აკორდი ფიქსირდება კლავიშის ფსკერში და შემდგომ გიბრირებს კლავიატურის ქვევითა დონეში. მსგავსი არტიკულაცია შემსრულებლობაში ახალ პორიზონტებს შლის და აკუსტიკურად სრულიად განსხვავებული რეზონანსის მატარებელია.

როგორც ცნობილია, XX საუკუნის მუსიკალურ აზროვნებაში გადააზრებულ იქნა დროისა და სივრცის განზომილება. ამ კონტექსტში განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. ვებერნისა და მოგვიანებით კ. შტოკაუზენის შემოქმედებითი მიღწევები. სამ სანოტო სისტემაზე განთავსებული მასალა, ოვეისტრული დაშორება, პოლიტონალობა – ნაწარმოების სივრცობრივი გააზრების აუცილებლობაზე მეტყველებს. მუსიკის კონტინუალური ხასიათის გადმოცემასთან ერთად შემსრულებლის წინაშე ბგერის და აკუსტიკურად სრულიად განსხვავებული რეზონანსის მატარებელია.

რის სივრცეში რეზონირების ურთულესი ამოცანები იჩენს თავს. მსგავსი ამოცანების განხორციელება პრაქტიკულად წარმოუდგენელია როიალის წინაპარ კლავიშიან ინსტრუმენტზე და უშუალოდ უკავშირდება XX საუკუნის აზროვნებას.

მუსიკალური მასალის სერიული პრინციპით სტრუქტურირება თავის მხრივ წინა პლანზე წამოწევს ბგერის თთოეულ პარამეტრს და გამოყენეთილ მნიშვნელობას ბგერის არტიკულაციურ ასპექტს ანიჭებს. მელოდიის მნიშვნელობა გადააზრებულია. სერიული რიგის მოძიება მუსიკალურ ქსოვილში, მისი გამოყოფა საერთო ქსოვილიდან და შემდგომ ლოგიკური ინტონაციური კავშირების მოძებნა სერიის შემადგენელ ტონებს შორის, თავის მხრივ მელოდიის სტრუქტურულ ანალოგებთან მიგვიყვანს. წინა პლანზე გამოდის სერიის თემატური დატვირთვა. მუსიკალური აზროვნების განვითარებაში ფუნქციური მიზიდულობის მოშლა, ფორტეპიანოს ბგერით პოტენციალში ახალი თავისებურებების გამოვლენას იწვევს. საშემსრულებლო ამოცანები რთულდება მუსიკალურ ქსოვილში პოლიფონიური განვითარების ხერხების გამოყენებით. იზრდება აქცენტის როლი რიტმო-ინტონაციაში. ირლევვა კომპოზიციის აგების ტრადიციული ფორმები. აღნიშნული სტილისტური მახასიათებლების გაჩენა მუსიკოს-შემსრულებელს ახალ ამოცანებს უსახავს.

დისერტაციის მესამე თავი – „ფრანგული შემოქმედებითი ტრადიციის თავისებურებების გარდასახვაო. მესიანის საფორტეპიანო ხელოვნებაში“. ფრანგულ საკლავესინო ტრადიციას არაერთმა ფრანგმა შემოქმედმა მიაგო პატივი. იგი ორიგინალურადაა გარდატეხილი ო. მესიანის საფორტეპიანო შემოქმედებაშიც: ერთი მხრივ ემუარება კლავესინისტებისთვის მეტად დამახასიათებელი პროგრამულობის ახალ გაგებას და ფორმაქმნადობის პრინციპების გამოვლენას (კუპლეტურობა), მეორე მხრივ – საშემსრულებლო სტილისტიკისადმი სპეციფიკური მიღვომით ხასიათდება. პეიზაჟი ო. მესიანის საფორტეპიანო აზროვნებაში კონტექსტის დატვირთვით მუდავნდება. ხშირად ავტორი სიტყვიერი წამდლვარებით აღწერს იმ გარემოს, სადაც გაის-

მის ფრინველის მოტივები. მელიზმური ფიგურაციების და ტრიტონული ინტერვალიკის გამოყენებით ახასიათუბს მათ. მრავალ შრიან ფაქტურაში კონტექსტური შინაარსის მატარებელი ბუნების სურათისა და პერსონაჟის მოტივის განსახიერება ფორმგანოზე შემსრულებლისგან ფრანგული საკლავესინო ტრადიციისა და იმპრესიონისტული ბგერწერის სინთეზურ გამოყენებას მოითხოვს. ამავე თავში განხილულია იმპრესიონიზმის ესთეტიკისა და კერძოდ, კადებიუსის შემოქმედების ზეგავლენა ო. მესიანის საფორტფაზიანო სტილის ფორმირების პროცესში.

მეოთხე თავი – „კილო და რიტმი მესიანის საფორტეპიანო შემოქმედებაში შემსრულებლობის ასპექტში“. ცნობილია, რომ ო. მესიანის კილოური აზროვნება შეზღუდული ტრანს-პოზიციის მოდუსებამდე მივიდა. ეს კილოები ეყრდნობა 12 ბეგრიან ტემპერიტუბულ სისტემას და წარმოქმნება რამდენიმე სიმეტრიული ჯგუფისგან. ამასთან, თითოეული ჯგუფის ბოლო ბეგრა ყოველთვის „საერთო“ შემდგომი ჯგუფის პირველ ბეგერასთან. ო. მესიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კილოს გადაადგილების შეუძლებლობაშია მისი სისტემის მთავარი ხიბლი. შემსრულებლის ინტერესი კონკრეტული პიესის ინტეპრეტაციის დროს, პირველ რიგში, მიმართული უნდა იყოს თითოეული კილოს დანიშნულების და მისი როლის დადგენისკენ ნაწარმოების საერთო მხატვრულ შინაარსთან მიმართებაში.

კილოებისა და მათი ტრანსპოზიციების საფუძველზე მესიანის ნაწარმოებში ყალიბდება მელოდიური ფორმულები. ვიტრაჟის ეფექტით (მესიანის ტერმინი) გამდიდრებული მესიანის მელოდიურ-პარმონიული სისტემა უდიდეს მხატვრულ-კოლორისტულ შთაბეჭდილებას ქმნის. ანალიზის შედეგად ჩნდება მოსაზრება, რომ ავტორი ამა თუ იმ მელოდიურ ფორმულას გარკვეული მხატვრულ-ემოციური შინაარსით ტვირთავს და იყენებს სხვადასხვა ნაწარმოებში შესაბამისი განწყობილების გადმოსაცემად. აქედან გამომდინარე, მელოდიურ-პარმონიული ფორმულა მესიანის შემოქმედებაში კოდურული სიმბოლოს დანიშნულებას იძენს.

ო. მესიანის შემოქმედების კვლევისას სპეციალურ დაკვირვებას მოითხოვს რიტმის სფერო. კომპოზიტორმა რიტმის ფენომენს მიუძღვნა სპეციალური თეორიული კვლევები, რომლის შედეგებიც მიზანმიმართულად აისახა მის მუსიკაში. გამომსახველობის ეს ხერხი ო. მესიანის სტილის ერთ-ერთ ნოვატორულ ნიშან-თვისებად შეიძლება ჩაითვალოს.

მუსიკალურ-ესთუტიკურ ნაშრომში „ჩემი მუსიკალური ენის ტექნიკა“ ო. მესიანმა მეტრულ-რიტმული აზროვნების გაფართოების ახალი შესაძლებლობები წარმოადგინა. რიტმული განვითარებისათვის დამახასიათებელი განაწევრებისა და შეერთების ტრადიციულ პრინციპებს მესიანის სისტემაში ემატება მომატებისა და კლების რიტმული კანონზომიერება, რაც განმეორებითობის გვერდზე მოიაზრება.

რიტმული აქცენტის როლის გადააზრებამ მესიანი მიიყვანა არტიკულაციის 12 სხვადასხვა მოდელის შექმნამდე, რომლებიც ქრომატულად სისტემატიზირებულ მაგალითებს წარმოადგენენ მის სისტემაში. მსგავსი შემოქმედებითი მიდგომა არტიკულაციისადმი გამოვლენილია ო. მესიანის „რიტმულ ეტიუდებში“, რაც XX საუკუნის საფორტეპიანო შემოქმედებაში ნოვატორულ მოვლენად გვესახება. რიტმი ის იარაღია, ის მედიუმია, რომლის მეშვეობითაც შემსრულებელი კონტაქტში შედის მსმენელთან. ო. მესიანის მუსიკის კოდური შინაარსი რიტმულ მოდელირებაშია განხორციელებული. სადისერტაციო ნაშრომში მოტანილია კომპოზიტორის რიტმული აზროვნების საშემსრულებლო დონეზე რეალიზების შეასაძლებლობები, შემოთავაზებულია შესრულების მეთოდური რეკომენდაციები, რითიც შემსრულებელი სასურველ მხატვრულ შედეგს მიაღწევს. იგულისხმება, მუსიკალური მასალის რიტმული ორგანიზებისას უმცირესი გრძლიობითი სიდიდით და სირთულის მზარდი პრინციპით ხელმძღვანელობა.

მეხუთე თავი – „ტემპის ასპექტის ო. მესიანისეული გადაწყვეტა საფორტეპიანო მუსიკაში“. ო. მესიანის საფორტეპიანო შემოქმედებაში ფორტეპიანოს ტემპრუ-

ლი შესაძლებლობების გაფართოება ტემპრული გამომსახველობის ორიგინალური გამოვლენის გზით მოხდა. კომპოზიტორი ფორტეპიანოს ხშირად იყენებს, როგორც სხვადასხვა ინსტრუმენტისა და ფრინველთა გალობის იმიტირების საშუალებას. ო. მესიანის ორიგინალური დამოკიდებულება ტემპრის ფენომენისადმი – ტემპრული იმიტაციის ფართო გაგება ფორტეპიანოს გამომსახველ საშუალებებს აფართოვებს, რაც თავის მხრივ, საფორტეპიანო ტექნიკის ახლებურ გააზრებას მოითხოვს. ანალიზის შედეგად დისერტაციაში მოყვანილია ტემპრული შეფერილობის ის ზოგიერთი თავისებურება, როთიც გამდიდრებულია კომპოზიტორის საფორტეპიანო ქსოვილი. ამ კუთხით გამოიკვეთა ტემპრული იმიტაციის მეთოდის რამდენიმე ძირითადი სფერო.

ჩიტების ტემპრების იმიტირება კომპოზიტორის შემოქმედებაში მრავალმხრივ ხასიათს იღებს და ყალიბდება, როგორც კომპოზიტორის სტილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება. ამავდროულად, კომპოზიტორის საფორტეპიანო ნაწარმოებებში გამოვლენილი ტემპრული აზროვნების სპეციფიკური და ნოვატორული საწყისები აშკარად დაკავშირებულია ორგანის, ჩელესტას, კლავესინის და დასარტყეამი ინსტრუმენტების ტემპრის ასახვასთან.

ხშირ შემთხვევაში მრავალშრიანი ფაქტურის ერთ-ერთი ფენა საორგანო ჟღერადობის მატარებელია, გამოირჩევა მასიური ტემპრული ხასიათით და შესაბამისად, კლავიშთან შეხება, არტიკულაცია ფორტეპიანოზე ბგერის გაგრძელებული, სპეციფიკური გამომსახველობით ხასიათდება. ორგანის აპუსტიკური და ტემპრული შესაძლებლობის იმიტაცია ფორტეპიანოზე ბგერითი ნაკადის გადაცემის „ილუზორულ“ ხერხს საჭიროებს. სპეციფიკურობა, უმთავრესად, ჩასაბერ-კლავიშიანი ინსტრუმენტისთვის დამახასიათებელი თვისებების იმიტირებას უკავშირდება. იმიტირების განსახორციელებლად არაა საკმარისი ფორტეპიანოზე დაკვრის აგადემიური პრინციპების ფლობა, ო. მესიანი მისი მუსიკის ორიგინალური ჟღერადობის სრული ეფექტის მისაღწევად სრულიად ახალ პიანისტურ ამოცანებს უუნებს შემსრულებელს. ბგერის

სიძლიერის ხარისხის განსაზღვრისთვის შემსრულებელს ამ შემთხვევაში დაქმარება სივრცული წარმოდგენები.

მასიურის შეგრძება, ამავე დროს პაკის ნაკადის მიღებში მოძრაობის წარმოდგენა ბგერის გამოცემისას მას დაქმარება თავიდან აიცილოს ფორტეპიანოზე ბგერის მყისიერი რეზონანსი, რაც ჩაქუჩისა და სიმის ურთიერთმოქმედებით მექანიკურად ხორციელდება.

ემოცია ო. მესიანის შემოქმედებაში რელიგიური აფეჭტის მიღწევით განისაზღვრება. სიხარულის აღტყინება ის ემოციური მდგომარეობაა, რომელსაც უკავშირდება ო. მესიანის რელიგიური ხასიათის ქმნილებების კულმინაციური ეპიზოდები. ორგანი თავისი რეგისტრული, აგუსტიკური და ტემბრული შესაძლებლობებით მსმენელის შეგრძებაში საკრალურ-განცდით ეფექტს უზრუნველყოს. კომპოზიტორი ფორტეპიანოს გამომსახველი საშუალებებით აღწევს რელიგიური აფექტის შეგრძებას.

კლავესინისტების მიერ დანერგილი ტრადიცია იმდენად მაღალესთეტიკური და მნიშვნელოვანია, რომ საფორტეპიანო აზროვნების განვითარების გზაზე მისი ანარეპლი არაერთხელ წამოტივდივდა და ახალ სტილურ თავისებურებებში ტრანს-ფორმირებული სახით იზინა თავი. მიუხედავად იმისა, რომ კლავესინზე შეუძლებელი იყო კლავიშთან შეხებით ჟღერადობის კონტროლი და განსხვავებული ხარისხის ბგერის გამოცემა, საკლავესინო ეპოქას უკავშირდება მუსიკის მელოდიური, რიტმული და პარმონიული საწყისების გამდიდრება და განვითარება. ო. მესიანის ნაწარმოების შემთხვევაში, საკლავირო ტრადიცია მთლიანი საფორტეპიანო ფაქტურის გარკვეულ ეპიზოდზე, ან ერთ შრეზე ვრცელდება. კლავესინის ტემბრის ასახვის პრინციპი, ო. მესიანის საფორტეპიანო შემოქმედებაში ტემბრული დრამატურგიის ერთ-ერთი დახვეწილი წახნაგია და შენიდბულად მუდავნდება.

დასარტყეამი ინსტრუმენტების ტემბრული იმიტაციის ხერხი გამოყენებულია ო. მესიანის რიგ საფორტეპიანო პიესებში. ფორტეპიანოს გამომსახველი საშუალებების გამდიდრებამ და მთელი სიმძაფრით გამოვლენამ არტიკულაციის ახალი პრობლემები გამოიწვია. ო. მესია-

ნის საფორტეპიანო აზროვნებაში, რიგ შემთხვევებში გამოვლინდა ის ბგერითი გამომსახველობის ტენდენცია, რომელიც ბ. ბარტოკის შემოქმედებისთვის არის დამახასიათებელი. ო. მესიანის მუსიკაში შეიმჩნევა ბარტოკისეული არტიკულაციის ტენდენციები და მეტიც, მისეული ქრომატული ინტონაციის გამოძახილიც, რისი ნათელი მაგალითიც გვხვდება „20 მზერის“ № 4 პიესაში – „ქალწულის მზერა“.

ო. მესიანის საფორტეპიანო ქსოვილში ხშირია ქსილოფონის ტემბრის იმიტირება. მსუბუქი, მაღალ რეგისტრში გაჟღერებული, თოთქოს საგანგებოდ აკუსტიკურად გასუფთავებული ქსილოფონის იმიტაცია ხშირად მუსიკალური ფორმის შემადგენელი ნაგებობების ბოლოს გვხდება. მნიშვნელოვანია ო. მესიანის საფორტეპიანო ქმნილებებში სხვადასხვა ტემბრის ერთ საერთო ქსოვილში ჩართვა, ერთმანეთზე დადება. დიდ სირთულეს სწორედ იმ პიესების ინტერარეტაცია წარმოადგენს, სადაც ერთდროულად სხვადასხვა ტემბრები თანაარსებობენ. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ „20 მზერის“ პიესა № 5 – „ვაჟიშვილის მზერა ვაჟიშვილზე“.

მექქესე თავი – „ფრინველთა გალობის მოდელი-რება ო. მესიანის საფორტეპიანო ხელოვნებაში“. ჩიტების გალობის შესწავლამ, სხვადასხვა სახეობის ფრინველთა მოტივების დამუშავებამ მოგვიტანა ისეთი ნაწარმოებები, რომელთა სათაურები მიგვითითებენ, რომ ამ მუსიკის მთავარი გმირები ფრინველები არიან: „ფრინველების გამოღვიძება“, „შავი შაშვი“, „ეგზოტიკური ფრინველები“, „ფრინველების კატალოგი“ და სხვ.

გალობა ფრინველთა სამყაროს ენაა. ო. მესიანის შთაგონების წყარო კი ფრინველთა სამყაროა. იგი ჩიტის გალობას იღებს, როგორც ბუნებაში არსებულ მოდელს. თითოეული ჯიშის ფრინველის, ინდივიდუალური გალობის დეტალური შესწავლით და ჩანიშვნით კომპოზიტორმა თავისი შემოქმედებისათვის ურიცხვი მასალა დაგროვა. ჩიტების თემატიკასთან დაკავშირებული პრობლემატიკა მის ნაწარმოებებში ყალიბდება, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები დამახასიათებელი ასპექტი. ფრინველთა

„პერსონაჟები“ იქმნება ბუნებიდან აღებული ინდივიდუალური რიტმო-ინტონაციური მოდელების საფუძველზე.

ფრინველთა თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებების ინსტრუმენტულ შემადგენლობაში კომპოზიტორი უცვლელად მოიხრებს ფორტეპიანოს. ამ კლავიშიანი საკრავის ამოუწურავი შესაძლებლობები მას საშუალებას აძლევს მუსიკის ენაზე აამეტყველოს ჩიტების სამყარო. ფორტეპიანოს მეშვეობით ფრინველთა ამფერებამ მუსიკალურ ფაქტურაში ახალ მიგნებებს დაუდო საფუძველი. ო. მესიანი წერს: „ტემბრების ტრანსკრიპცია განსაკუთრებით მნელი იყო, მეტადრე ფორტეპიანოზე: ყველამ ვიცით, რომ ტემბრი მოდის ჰარმონიკების მეტი, ან ნაკლები რაოდენობისგან, ასე, რომ მე უნდა მიმემართა, როგორც უკიდურესი საშუალება ნოტების უჩვეულო კომბინაციებისთვის. მეორე მხრივ, ფორტეპიანო თავისი ფართო წყობისა და მყისიერი *attacca*-ს გამო იყო ერთადერთი ინსტრუმენტი, რომელსაც ჰქონდა დიდი სისწრაფის განვითარების შესაძლებლობა. ასევე შეგვიძლია ვისაუბროთ მაღალ რეგისტრებზე, რასაც ყველაზე ვირტუოზი ჩიტების შემთხვევაში მივმართავ“¹.

კომპოზიტორი აქვე აღნიშნავს, რომ ფორტეპიანო არის ერთადერთი ინსტრუმენტი, სადაც შესაძლებელია ჩახრენწილი ხმის, ყაყანის, პერკუსიული მოძახილის, კივილის, ასევე ქვის კაპუნის მსგავსი იმპერატიული ხმის ან მზით გამობარი, მომხიბლავი ტემბრის იმიტირება.

ჩიტების გალობის მოდელირების პრობლემებიდან პირველ პლანზე წამოწეულია მისთვის დამასახიათებელი ინტონაციური გამომსახველობა. რაც, ბუნებრივია, ფაქტურის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებში აისახება. ჩიტების გალობის მოდელებს გააჩნია გამოკვეთილი რიტმულ-ინტონაციური სისტემა, სადაც აქცენტების საშუალებით გამოიყოფა ამა თუ იმ ფრინველის ხმა. უპირველესად აღსანიშნავია რიტმის ასიმეტრიულობა, ვინაიდან მესიანის კრედო, სწორედ, ბუნებაში არსებული დროის მუსიკაში შემჭიდროებულად

¹ Peter Hill and Nigel Simeone. *Messiaen*. Yale University Press. New Heaven and London, 2005, p. 227.

გადმოცემაში მდგომარეობს და არა მოტივის სიმეტრიულად განთავსებაში. სწორედ ეს ახასიათებს ბუნებაში მოსმენილ ჩიტის მოტივს – ბგერათა თანმიმდევრობის არაერთგვაროვანი, ასიმეტრიული დაყოფა.

მელიზმური ფიგურაციები „ჩიტების სტილის“ გამოვლენის ერთ-ერთი მნიშვენლოვანი ელემენტია. მასზე დაყრდნობით ნათელი ხდება ინტონირების პროცესი.

მეშვიდე თავი – „ბგერა – ფერის ურთიერთკავშირი ო. მესიანის შემოქმედებაში“. ბგერათწარმოქმნის პრობლემა XX საუკუნის მუსიკალურ აზროვნებაში იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც საფორტეპიანო ნაწარმოებების ფაქტურაში იგი სპეციფიკურად აისახება – ინტონირების ახალ პერსპექტივებს უხსნის შემსრულებელს და ქლერადობის ეფექტის გამდიდრების შესაძლებლობებს უკავშირდება.

ვიზუალურ-კოლორისტული წარმოდგენების ჩართვა ისეთ აკუსტიკურ მოვლენასთან მიმართებაში, როგორიც არის მუსიკა, დაგვაფიქრებს შემოქმედისთვის ვიზუალურად აღქმადი გარე სამყაროს მნიშვნელობაზე. ბგერისა და ფერის ურთიერთკავშირის გამოვლენა მუსიკაში ეს ის ინოვაციაა, რაც მუცნიერულად რთული დასადასტურებელია, თუმცა, ნაწარმოების მხატვრულ სახეზე მუშაობის პროცესში საშემსრულებლო ამოცანების დაყვნებისას გასათვალისწინებელია. მით უფრო, როდესაც ამ საკითხეზე კონკრეტულად მიგვანიშნებს თვით ავტორი. მესიანი ინტერვიუში კლოდ სამუელთან აღნიშნავს: „მე შევეცადე გადმომეტანა ფერი მუსიკაში. ზოგიერთი ბგერათა კომპლექსი და ქლერადობა დაკავშირებულია ფერების კომპლექსებთან და მე ვიყენებ მათ სრული ცოდნით. ... ბგერით კომპლექსებს ვდებ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ, როგორც მხატვარი ზრდის ერთი ფერის ხარისხს მეორეს დამატებით“¹.

ბგერათა კომპლექსების (ისევე როგორც ფერთა კომპლექსების) ურთიერთ-საპირისპიროდ დადება, რაც ძირითა-

¹ Olivier Messiaen. Music and Color. Conversation with Claude Samuel. Translated by E. Thomas. Glasow, Amadeus press Reinhard G. Pauly, General Editor Poreland, Oregon, 1994, p.41.

დად გარკვეულ ინტერვალურ შეთან-ხმებებთანაა დაკავ-შირებული (დიდი სეკუნძა, ტრიტონი) ო. მესიანის მუ-სიკაში ტიპური, ბუნებრივი მოვლენაა, მისი საკომპოზი-ტორო ლოგიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და მისი ჰარმონიული აზროვნების მთავარი გამოვლინება. დამატებითი ბერების დატვირთვის გაზრდა XX საუკუნის მუსიკალურ აზროვნებაში ჩვენთვის იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც საფორტეპიანო ნაწარმოებების ფაქტურაში საეციფიკურად აისახება – ინტონირების საფუძველს იძლ-ევა და უღერადობის ეფექტის გამდიდრების შესაძლებ-ლობებს უკავშირდება. ამასთან ერთად, ო. მესიანის საფორტ-პიანო მუსიკის ჰარმონიულ ქსოვილში იგი ერთ-ერთ გადამ-წყვეტ ფუნქციას იძენს. სწორედ დამატებითი ბერებით იქმნება ფერთა ურთიერთდაპირისპირების ეფექტი. ამას-თანავე, ჩვენი მოსაზრებით, ფერთა კომპლექსებთან დაკავ-შირებული განცდის მისადაგება ბერით კომპლექსებთან, ძირითადად განისაზღვრება ისეთი ეფექტით, როგორიცაა განათება, ვინაიდან ეს ცნება ისევე, როგორც შეატვრობაში, იხმარება ასევე ბერასთან, ედერადობასთან მიმართებაში. ამ ტიპის მუსიკის შესრულებისას განსაკუთრებით მნიშვ-ნელოვანია ვიზუალურ შეგრძნებებზე დამყარებული სმენ-ითი წარმოდგენები, რაც ბერათწარმოქმნის პროცესის სწო-რად წარმართვაში დაეხმარება შემსრულებელს.

ო. მესიანის საფორტეპიანო ნაწარმოებებზე მუშაობი-სას ყურადღებას იპყრობს ნაწარმოების კომპოზიცია, რომე-ლიც ავტორს, ხშირ შემთხვევაში, წონასწორობაში მო-ჰყავს განვითარების მარაოსებრი პრინციპის გამოყენების მეშვეობით (მუსიკალური გამომსახველობის ყველა პარა-მეტრის და კომპონენტის შებრუნვება). ამ მეთოდის ეფექ-ტურობა ბევრადაა დამოკიდებული პიანისტის მიერ ზუს-ტად შესრულებულ კომპოზიტორი ავტორისეულ მითი-თებებზე. მარაოსებრი პრინციპის მიზნება მათემატიკური გათვლის შედეგი არ ყოფილა, არამედ – საკომპოზიციო მეთოდია, რომელსაც კომპოზიტორი მიზანმიმართულად იყენებს. შემსრულებლის მიზანია მუსიკალური მასალის კომპოზიტორის მიერ შემოთავაზებული კანონზომიერი განლაგება განცდის დონეზე მიიტანოს მსმენელამდე.

დასკვნაში მოცემულია პვლევის შედეგები და განზოგადებულია დისერტაციის ძირითადი დებულებები.

- მუსიკის ცოცხლად გაქცეულების პროცესში უმთავრეს კომუნიკაციურ საშუალებას ბგერათწარმოქმნის მხატვრული და ტექნიკური ხერხების სრულყოფილი ფლობა წარმოადგენს.
- ბგერების ქლერადობრივი განსხვავებულობის დიფერენცირება ინსტრუმენტზე ხდება შეგრძნებითი წარმოდგენების საფუძველზე, რაშიც იგულისხმება შეხებითი, მსედველობითი, სივრცული წარმოდგენები.
- ფორტეპიანოს შექმნისა და განვითარების ისტორია ცხადყოფს, რომ მისი გამომსახველი საშუალებებით ადამიანის ემოციური განცდის გადმოცემაა შესაძლებელი და ამ ინსტრუმენტის აქცერებისას მთავარი უპირატესობა მასზე ექსპრესიის გამოხატვას ენიჭება.
- საკომპოზიტორო აზროვნების განვითარების შედეგია მუსიკის კოლორისტული გააზრება და ამასთან ერთად ფორტეპიანოს ახალი ტექნიკული შესაძლებლობის განვითარება. XX საუკუნის მუსიკის მხატვრული შინაარსის გადმოცემისას ინსტრუმენტულ აზროვნებაში წინა პლანზე მოდის ბგერის არტიკულაციური ასპექტი.
- კ. დებიუსის მუსიკაში ბგერათ ინტონაციურ-ჰარმონიული შეთანხმებები სონორულ ედერადობებად ყალიბდება და ამით მუსიკალურ აზროვნებაში ნოვატორულ იდეებს ექრება საფუძველი. ამასთან ერთად, დებიუსის მუსიკაში ბგერის არტიკულაციური გამომსახველობის მიმართ სრულიად ახალი დამოკიდებულება ვლინდება.
- ბ. ბარტოკის საფორტეპიანო ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე ცხადი გახდა, რომ ბგერათწარმოქმნის პრობლემატიკის კონტექსტში რიტმისა და ტექნიკის ფაქტორი პრიორიტეტულ ფუნქციას იღებს, ხოლო კილო-ტონალური და ინტონაციური ასპექტები – დაქვემდებარებულს.

- ო. მესიანის მიერ ტემპრული იმიტაციის მეოთვის გამოყენებას მოჰყვა ფორტეპიანოს გამომსახველი საშუალებების გადააზრება. ერთ-ერთ მთავარ მხატვრულ გამომსახველ საშუალებად გვევლინება ორგანის აკუსტიკური შესაძლებლობების ფორტეპიანოზე გადმოტანა, რაც ბგერათწარმოქმნის სპეციფიკურ, ორიგინალურ მეთოდებში ვლინდება.
- შეზღუდული ტრანსპოზიციის კილოგბზე დაყრდნობით შექმნილ მელოდიურ და საკადანსო ფორმულებს ო. მესიანის შემოქმედებაში კოდური დატვირთვა ენიჭება.
- ემოცია ო. მესიანის შემოქმედებაში განისაზღვრება რელიგიური აფექტის მიღწევით. ორგანი ის ინსტრუმენტია, რომელიც თავისი აკუსტიკური და ტემპრული შესაძლებლობებით (იგულისხმება მიქსტურების ოსტატური გამოყენება) მსმენელის შეგრძნებაში უზრუნველყოფს საკრალურ განცდით ეფექტს. ფორტეპიანოს გამომსახველი საშუალებებით ორგანის იმიტაციით კომპოზიტორი აღწევს რელიგიური აფექტის შეგრძნებას.
- მუსიკის საკრალური ხასიათის გადმოსაცემად ფორტეპიანოზე კომპოზიტორი მიმართავს სხვადასხვა ხერხებს: ა) ვიტრაჟული ეფექტი; ბ) მხატვრული დროის როგორც უწყვეტი დინების წარმოდგენა; გ) ფორტეპიანოს რეგისტრული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა ისეთი სივრცული უფექტის შესაქმნელად, რომელიც მიიღწევა მხოლოდ ტაძარში; დ) ტაძრის აკუსტიკაში შესაძლო ბგერის რეზონირების სტერეო ეფექტის გადმოცემა პედალის მიზანმიმართული გამოყენებით.
- შემსრულებელმა გზამკვლევი ამა თუ იმ თემატური ელემენტის შესატყვისი განწყობის შესარჩევად უნდა ეძიოს მელოდიური და საკადანსო ფორმულებში რეალიზებულ კოდურ შინაარსში.
- რიტმი მესიანის შემოქმედებაში ის მედიუმია, რომლის მეშვეობით შემსრულებელი კონტაქტში შედის მსმენელთან და მუსიკის კოდური შინაარსი

ასევე სწორედ რიტმულ მოდელებშია განხორციელებული.

- ნაწარმოების კომპოზიცია ო. მესიანს ხშირ შემთხვევაში წონასწორობაში მოყავს განვითარების მარაოსებრი პრინციპის გამოყენების მეშვეობით. ამ მეთოდის ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული შემსრულებლის მიერ ზუსტად შესრულებულ ავტორისეულ მითითებებზე.
- აკორდის შემადგენელ ტონებს შორის არტიკულაციური არათანასწორუფლებიანობა ო. მესიანის საფორტეპიანო შემოქმედებაში უმნიშვნელოვანეს გამომსახველ ფუნქციას იძენს. ხმოვანებაში ერთგვარი მცირე შეჯახებები ქმნიან კონტრასტს, რაც ჟღერადობაში ფერთა შეზავების ასოციაციებს ბადებს. თანხმოვანებათა შემადგენელ ტონებში ამგვარ კონტრასტად აღქმულ მცირე აკუსტიკური ეფექტების ერთობლიობა საერთო ჯამში ქმნის მესიანისეულ დამახასიათებელ ჟღერადობას.
- ჩიტების ოქმატიკის გამეფება ო. მესიანის პანთეისტური იდეების ასახვასთანაა დაკაშვირებული. ფორტეპიანოს მეშვეობით ფრინველთა გალობის მოდელირება XX საუკუნის მუსიკალურ აზროვნებაში ახალ მიგნებებს დაუდო საფუძველი.

**დისერტაციის ძირითადი შედეგები ასახულია
ავტორის შემდეგ პუბლიკაციებში:**

1. „მეოცე საუკუნის საფორტეპიანო მუსიკის ზოგი-
ერთი სტილისტური თავისებურება”. თბილისის განმ
სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვა-
ტორიის დოქტორანტების სამეცნიერო შრომათა კრე-
ბული. სერია: მშეიქისმცოდნეობის საპილეო. რედ.:
წურწუმია რუსულან და სხვები. თბილისი, 2010.

2. „ფრანგული კულტურის გარდასახვა ო. მესიანის
საფორტეპიანო ხელოვნებაში”. თბილისის შოთა რუს-
თაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსი-
ტეტი. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა პირველი საერ-
თაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. საკონფერენციო
მასალების კრებული. თბილისი, 2010

3. „TRANSFORMATION OF FRENCH CULTURAL TRADITIONS IN O. MESSIAEN'S PIANO ART“. „Harmony“ საერ-
თაშორისო მუსიკალური კულტუროლოგიური ელექ-
ტრონული ჟურნალი; № 9 / 2010. <http://harmony.musigidunya.az>.